გიორგი დუნდუა

საქართველოს სამონეტო განძები

რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან

მეცნიერება
1979

737 (47. a 22)
დ 911

ნაშრომი წარმოადგენს აბამისა და ცხაკაიას რაიონების სოფ. სეფიეთსა და ეკში 1931 და 1971 წწ. აღმოჩენილი I—III სს. რომაული მონეტების (საერთო რიცხვით 1300 ცალი) პირველ მეცნიერულ და სრულ პუბლიკაციას.

მონოგრაფიაში მოცემულია თითოეული მონეტის აღწერა, დაჯგუფებულია ისინი ქრონოლოგიის, ტიპოლოგიის და ზარაფხანების მიხედვით. ნაშრომს წინ უძღვის შესავალი წერილი ქართულ და რუსულ ენებზე, სადაც განხილულია კოლხეთისა და რომის იმპერიის ურთიერთობის ასპექტები ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით.

ᲓᲐ $\frac{10602}{М\ 607\ (06)—79}$ 241—78

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

შესავალი

დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის ურთიერთობის ისტორიას ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, აგრეთვე ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რომაული მონეტების მიმოქცევისა და ტოპოგრაფიის საკითხებს, რამდენიმე საყურადღებო წერილი[1] და ერთი სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა მიეძღვნა[2]. მიუხედავად ამისა, ამ ორი რეგიონის ურთიერთობის ყველა ასპექტი ჯერჯერობით სათანადო სისრულით გაშუქებული არაა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მასალის პუბლიკაციაც არ დგას დღევანდელი მეცნიერული მოთხოვნების დონეზე.

ამ ხარვეზის შევსების ერთადერთ მართებულ გზად ჩვენ მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული მონეტების განძებისა და ნაქალაქარების ფარგლებში გათხრების შედეგად მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის მონოგრაფიული შესწავლა, მათი ცალ-ცალკე მეცნიერული პუბლიკაცია (სრული კატალოგიზაცია უახლესი სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით, თითოეული მონეტის ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დათარიღება, ზარაფხანების დადგენა-ლოკალიზაცია, მონეტებზე გამოსახული მითოლოგიური სიუჟეტებისა თუ ცალკეულ ღვთაებათა იდენტიფიკაცია და ა. შ.). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მოთხოვნებს ძნელად თუ პასუხობს ჩვენ მიერ დასახელებულ (ან ქვეტექსტში ნაგულისხმევ) ნაშრომთა უმრავლესობა.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია სამეგრელოს სოფლებში — ეკსა და სეფიეთში — აღმოჩენილი I—III სს. რომაული მონეტების ორი დიდი განძი. რამ განაპირობა ჩვენი არჩევანი? ა) ეკის უზარმაზარი განძი ფაქტიურად გამოუქვეყნებელია (არსებობს მხოლოდ წინასწარი ხასიათის ცნობები

---

[1] ვასახელებთ ძირითად ნაშრომებს: М. М. Иващенко. Герзеульский клад монет Кессарии Каппадокийской. ИГАИМК, вып. 10, т. VII, Л., 1931; Л. Н. Зограф. Несколько добавочных замечаний по поводу Герзеульского клада, იქვე; მისივე, Распространение находок античных монет на Кавказе. ТОНГЭ, I, 1945; ს. მაკალათია. სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე. XII-B, 1944; Д. Г. Капанадзе. Нумизматические находки Пицундской археологической экспедиции за 1953—1959 гг. ВДИ, 1966, № 4; გ. დუდუა. პიტიუნტი-ბიჭვინტა ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1962, გვ. 62-68. მისივე, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II—ახ. წ. IV სს. კრ. „დიდი პიტიუნტი", I, თბ., 1975, გვ. 280—429 და სხვა.

[2] К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. Л., 1964.

მის შესახებ)[3] და მისი ჩართვა სამეცნიერო მიმოქცევაში პირველხარისხოვანი და გადაუდებელი ამოცანაა; ბ) სეფიეთის განძი, მართალია, გამოქვეყნებულია[4], მაგრამ აუცილებელია მისი რეპუბლიკაცია ყველა იმ მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული (ცხადია, ეს ოდნავადაც არ ამცირებს პროფ. ს. მაკალათიას დამსახურებას ქართული მეცნიერების წინაშე); გ) დასახელებული განძები ერთ მიკრორაიონშია აღმოჩენილი (ძველი ლაზიკის დედაქალაქის — ნოქალაქევ-არქეოპოლისის რადიაციის სექტორში. სოფ. ეკის ტერიტორიაზე ციხეა დადასტურებული, რომელიც სხვა სიმაგრეებთან ერთად იცავდა ნოქალაქევის მისადგომებს[5], ხოლო სეფიეთის ბაზილიკა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სულ ექვსიოდე კმ-თაა დაშორებული არქეოპოლისს[6]) და უტყუარად ასახავს სამონეტო მიმოქცევის სურათს ამ რეგიონში. ამიტომ მათი იზოლირებული შესწავლა გაუმართლებელია; დ) ორივე განძი კოლხეთის შიდა რაიონშია მიკვლეული და არა სანაპირო ზოლის ქალაქების საზღვრებში. ამდენად, იგი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ფულადი ცირკულაციის სურათი მთლიანად ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე I—III სს., დავიჭიროთ განსხვავება, რომელიც არსებობდა დას. საქართველოს შიდა რაიონებისა და სანაპირო ქალაქების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ეკის განძი. აღმოჩენილია შემთხვევით ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკის მცხოვრებ ტოჩი ნინუას ეზოში, 1971 წ. იანვრის ბოლო რიცხვებში. აღნიშნულ ადგილზე ბულდოზერით მუშაობის დროს ეზოს პატრონის ყურადღება გატეხილმა თიხის ჭურჭელმა მიიპყრო. ჭურჭელში მან ერთმანეთთან მჭიდროდ მიჟანგული მრგვალი ფირფიტები აღმოაჩინა. ეს ამბავი ტ. ნინუამ აცნობა მიხა ცხაკაიას სახ. მემორიალური მუზეუმის თანამშრომლებს, მათ კი, თავის მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. ნაპოვნი განძი შედგებოდა 232 ვერცხლის რომაული მონეტისაგან[7]. სრულებით აშკარა იყო, რომ ეს ფულები მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა დიდი განძისა და დნარჩენი მონეტებიც იქვე ახლო-მახლო უნდა ყოფილიყო მიმოფანტული. საჭირო იყო გადანაყარი მიწის მტკაველ-მტკაველ მოხილვა, მისი გაცრა. ეს დიდი საქმე ითავა ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. წირღვავამ, რომლის ენთუზიაზმი და ენერგია სათანადოდ დაფასდა კიდეც: მან მიაკვლია ბულდოზერის მიერ მიჭყლეტილი განძის ძირითად ბირთვს (675 ცალი)[8].

---

[3] გ. დუნდუა. ეზოში დამარხული ისტორია. გაზ. „კომუნისტი", № 39, 16/II, 1971 წ.; გ. დუნდუა, ვ. წირღვავა. ეკის განძი. „ძეგლის მეგობარი", №№ 27—28; 1971, გვ. 42—45, 108: Г. Ф. Дундуа. Клад из с. Эки. XV Наукова Конференція института археології. Присвячена 50-річчю утворення Союзу Радьянских Соціалістичних Республік, Тези пленарных і секційних доповідей. Одесса, 1972. с. 272—273. Мисиэ. Клад римских монет I—III вв. из с. Эки. КСИА, № 151, 1977, с. 64—67.

[4] ს. მაკალათია. დასახ. ნაშრ.

[5] В. А. Леквинадзе. Монументальные памятники Западной Грузии I—VII вв. (автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук), М., 1973, გვ. 34.

[6] Мисиэ, Гантиадская Базилика. СА, 1970, № 3, გვ. 168, სქ. 10.

[7] დაწვრილებით იხ.: გ. დუნდუა. ეზოში დამარხული ისტორია.

[8] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ.: გ. დუნდუა, უანგარო მამულიშვილი. „ძეგლის მეგობარი", 1971, № 27—28, გვ. 87—88.

ცხრილი I

ეკის განძის მონეტების ხია

№№ რიგ.	იმპერატორი	ნომინალი: დენარი	ნომინალი: დრაკმა	ნომინალი: დიდრაკმა	ზარაფხანა: პართია	ზარაფხანა: რომი	ზარაფხანა: კესარია	ზარაფხანა: აღმოსავლეთის	ზარაფხანა: ალექსანდრია?	ზარაფხანა: რომი ან ანტიოქია	ზარაფხანა: კესარიელი დრაკმის მინაბაძი	ჯამი
1	ე. წ. ოროდ I (ძვ. წ 57—38/37 წწ.)	—	1	—	1	—	—	—	—	—	—	1
2	ნერვა (96—98 წწ.)	—	—	1	—	—	1	—	—	—	—	1
3	ტრაიანე (98—117 წწ.)	—	—	2	—	—	2	—	—	—	—	2
4	ადრიანე (117—138 წწ.)	—	—	712	—	—	712	—	—	—	—	712
5	ანტონინე პიესი (138—161 წწ.)	—	—	55	—	—	55	—	—	—	—	55
6	ლუციუს ვერუსი (161—169 წწ.)	—	—	1	—	—	1	—	—	—	—	1
7	კომოდუსი (180—192 წწ.)	1	—	—	—	1	—	—	—	—	—	1
8	პერტინაქსი (193 წ.)	5	—	—	—	5	—	—	—	—	—	5
9	ნიგერიუსი (193—197 წწ.)	1	—	—	—	1	—	—	—	—	—	1
10	სეპტიმიუს სევერუსი (193—211 წწ.)	101	—	—	—	12	—	84	5	—	—	101
11	იულია დომნა (193—217 წწ.)	14	1	—	—	5	1	9	—	—	—	15
12	კარაკალა (211—217 წწ.)	2	1	—	—	2	1	—	—	—	—	3
13	გეტა (211—212 წწ.)	1	1	—	—	—	1	—	—	1	—	2
14	ელაგაბალუსი (218—222 წწ.)	—	1	—	—	—	—	—	—	—	1	1
15	ალექსანდრე სევერუსი (222—235 წწ.)	6	—	—	—	1	—	5	—	—	—	6
		131	5	771	1	27	774	98	5	1	1	907

ამრიგად, ეკის განძის შემადგენლობა 907 მონეტას ითვლის. განძში შემავალი მონეტების დაზუსტებული სია, მათი ქიმიური გაწმენდისა და სკრუპულოზური შესწავლის შემდეგ, ასე გამოიყურება[9] (იხ. ცხრილი I).

ამრიგად, განძის აბსოლუტური უმრავლესობა (771 ცალი) კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი დიდრაქმებია. ამავე ზარაფხანაშია მოჭრილი აგრეთვე განძის შემადგენლობაში შემავალი ოთხი დრაქმაც; ე. ი. კესარიული ვერცხლის მონეტები სულ წარმოდგენილია 774 ცალის რაოდენობით. აქედან 712 ცალი მოჭრილია იმპერატორ ადრიანეს (117—138 წწ.) სახელით, ხოლო 55 — ანტონინე პიუსისა (138—161 წწ.).

დენარების საერთო რიცხვი 131 ეგზემპლარს შეადგენს. აქედან 101 ცალი მოჭრილია სეპტიმიუს სევერუსის სახელით (193—211 წწ.). საინტერესოა ისიც, რომ მათი უმრავლესობა (84) აღმოსავლეთის ზარაფხანის პროდუქციას მიეკუთვნება და მოჭრილია 194 წ. (82 ც., იხ. ეკის განძის კატალოგი № № 786—868).

განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის (222—235 წწ.) ეპოქას განეკუთვნება, მისი ემისიის წელია — 222. სხვა სიტყვებით, ეკის განძი დამარხულია 222 წ. ან უფრო მართებულად, 222 წ. შემდეგ.

ს ე ფ ი ე თ ი ს გ ა ნ ძ ი. აღმოჩენილია შემთხვევით 1931 წ. თებერვალში, აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთში, ადგილობრივ მცხოვრებ ანტონ ვატას ძე გვაჯიას მიერ, საკუთარ ეზოში მიწის სამუშაოების წარმოების დროს. განძი მოთავსებული ყოფილა თიხის კოჭობში[10]. განძის 377 მონეტა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მათი დაზუსტებული სია, გულდასმითი მეცნიერული შესწავლის შემდეგ, ასე გამოიყურება (იხ. ცხრ. II)[11].

ამრიგად, სეფიეთის განძის აბსოლუტურ უმრავლესობას (365 ც.) რომაული დენარები შეადგენენ. აქედან 118 ც. მოჭრილია რომში, 158 — ემესაში (სირია), 62 — აღმოსავლეთის ზარაფხანაში. კესარიის პროდუქცია სრულიად უმნიშვნელოა — 11. მათგან არც ერთი ცალი არაა დიდრაქმა.

განძის ძირითად ბირთვს შეადგენს სეპტიმიუს სევერუსის სახელით მოჭრილი მონეტები (227). მათი უმრავლესობის ემისიის წელია 194 (153) და განეკუთვნება ემესას ზარაფხანას.

განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის სახელითაა მოჭრილი, მაგრამ ემისიის წელის დადგენა ერთგვარ სიძნელესთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ განძის შემადგენლობაში შემავალი ამ იმპერატორის 31 მონეტიდან 29 ცალი 222 წელსაა მოჭრილი, ერთის თარიღი ვერ დგინდება, ხოლო ერთი თ ი თ ქ ო ს 225 წ. მიეკუთვნება (იხ. კატალოგი, № 376). ამ მონეტას ჩვენ მოვუძებნეთ ანალოგი ბრიტანეთის მუზეუმის რომაული მონეტების კატალოგში, სადაც ამ ტიპის დენარები 225 წ. თარიღდება[12], მაგრამ მათგან განსხვავებით (აქ იმპერატორი პროფილში წვერიანია), სეფიეთის განძის მონე-

---

[9] შდრ. გ. დ უ ნ დ უ ა, ვ. წ ი ნ ო ვ ა ვ ა. ეკის განძი. გვ. 42—43.

[10] დაწვრილებით განძის აღმოჩენის პირობების შესახებ იხ.: ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 217.

[11] შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 219—220.

[12] M. A. C a r s o n. Coins of the Roman Empire in the British Museum. vol. VI, L., 1962, გვ. 136, №№ 220—226.

ცხრილი II

ხეფიეთის განძის მონეტების სია

№№ რიგ.	იმპერატორი	ნომინალი		ზარაფხანა											
		დენარი	დრაგმა	რომი	რომი?	კესარია	ალმოსავლეთის	ალმოსავლეთის?	ლოეტდენენი	ალექსანდრია?	ეგესა	'Laodicea Ad Mare'	კესარიული დრაგმის მინაბაძი	ბოსფორეველი	სუ
1	ტრაიანე (98—117 წწ.)	2	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2
2	ადრიანე? (117—138 წწ.)	—	1	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	1
3	ანტონინე პიესი (138—161 წწ.)	3	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	3
4	მარკუს აურელიუსი (161—180 წწ.)	6	—	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6
5	კომოდუსი (180—192 წწ.)	33	—	33	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	33
6	კრისპინა (180 წ.)	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
7	პერტინაქსი (193 წ)	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
8	ნიგერიუსი (193—197 წწ.)	1	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	1
9	კლოდიუს ალბინუსი (193—197 წწ.)	7	—	5	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	7
10	სეპტიმიუს სევერუსი (193—211 წწ.)	222	5	30	1	5	15	3	—	2	158	1	—	12	227
11	იულია დომნა	25	2	12	—	2	11	—	—	—	—	—	—	2	27
12	გეტა (211—212 წწ.)	8	1	3	—	1	5	—	—	—	—	—	—	—	9
13	კარაკალა (211—217 წწ.)	15	3	10	—	2	3	—	—	—	—	—	1	2	18
14	ელიაგაბალუსი (218—222 წწ.)	10	—	7	1	—	2	—	—	—	—	—	—	—	10
15	ალექსანდრე სევერუსი (222—235 წწ.)	31	—	5	—	—	25	1	—	—	—	—	—	—	31
	სუ ლ:	365	12	118	2	11	62	4	2	2	158	1	1	16	377

ტაზე იმპერატორი სრულიად ახალგაზრდა. პირტიტველია გამოსახული. აშკარაა, რომ სეფიეთის განძის ცალი 225 წელზე ადრე უნდა იყოს მოკრილი, შეიძლება, 222 წელსაც კი (როგორც ეკის განძის გვიანდელი მონეტა). ამრიგად, სეფიეთის განძიც 222 წ. შემდგომ ხანებში უნდა იყოს ჩამარხული[13].

რით არის საინტერესო ეკისა და სეფიეთის განძები და რა გზით მოხვდნენ ისინი ჩვენში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაძნელდება კოლხეთის ისტორიის მოკლე ექსკურსის გარეშე.

ძველი კოლხეთის სამეფო ძვ. წ. II ს. ბოლოს თუ I ს. დასაწყისში მითრიდატე VI პონტოელის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. შემდეგ დასავლეთ საქართველო რომის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა და ხან მის პროვინციულ მმართველობას ემორჩილებოდა, ხან რომის ვასალურ სამეფოთა შემადგენლობაში შედიოდა[14]. მაგ.: არისტარქეს დროს (ძვ. წ. 65—45 წწ.) კოლხეთი რომის იმპერიის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ამის შემდეგ დიდი ხნით დაუკავშირდა რომაელთადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პონტოს სამეფოს — კოლხეთი პონტოს მეფეებს დაექვემდებარა[15]. პონტოს სამეფოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ამ ეპოქაში გახდა ტრაპეზუნტი. მას შემდეგ კი, რაც ნერონმა 63 წ. გააუქმა პონტოს სამეფო და იგი თავის პროვინციად აქცია, ტრაპეზუნტი შავიზღვისპირეთის ამ რაიონში რომაელთა ძლიერების დასაყრდენად იქცა[16]. პონტოს ბედი გაიზიარა კოლხეთმაც[17]. 63 წ. იგი, ნერონის ბრძანებით, პონტოსთან ერთად გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა[18]. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე კოლხეთი შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში", რომელიც აერთიანებდა კაპადოკიისა და გალატიის პროვინციებს, ხოლო ამის შემდეგ ცალკე ჩამოყალიბებული კაპადოკიის პროვინციის ნაწილად გვევლინება[19].

ახ. წ. II საუკუნისათვის ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეულია წარმოქმნილი და მათ შორის ლაზიკის (ეგრისის) სამეფოც[20]. კოლხეთის პოლიტიკური ერთეულების გენეზისი უფრო ადრეც ივარაუდება[21].

ფლავიუს არიანეს მიხედვით, ლაზების, აბასგებისა და სანიგების მეფეებმა ძალაუფლება მ ი ი ღ ე ს ა დ რ ი ა ნ ე ს ა გ ა ნ, ხოლო აფსილების მეფემ

---

[13] შდრ. გ. დ უ ნ დ უ ა, ვლ. წ ი ო ლ ე ვ ა ე ა. ეკის განძი. გვ. 44. აქ სეფიეთის განძის გვიანდელი მონეტის მოკრის წინასწარი თარიღი მეტი კატეგორიულობითაა მოცემული.

[14] ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 3—4.

[15] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ., 1970, გვ. 537 (ამ ნაწილის ავტორია აკად. გ. მელიქიშვილი).

[16] იქვე, გვ. 557—558.

[17] იქვე, გვ. 358; იხ. აგრეთვე. А. И. Амиранашвили. Иберия и римская экспансия в Азии. ВДИ, 1938, № 2, გვ. 171. მისივე, Восстание Аникета, ВДИ, 1939, № 2, გვ. 65.

[18] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 538.

[19] იქვე, გვ. 558; აგრეთვე. О. В. Кудрявцев. Провинция Каппадокия в системе римской восточной политики (17—72 гг.), ВДИ, 1955, № 2, გვ. 70; К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время, გვ. 23.

[20] ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[21] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 543.

იულიანემ კი ტრაიანესაგან[22]. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით. აქ საქმე გვაქვს რომის მიერ ამ ადგილებში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური ერთეულების ოფიციალურად ცნობასთან[23].

დაბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებში (აფსაროსში — გონიო, ფაზისში — ფოთი, სებასტოპოლისში — სოხუმი) რომაული გარნიზონები იდგა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებულ იბერიისაგან[24]. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ერთგვარი კონტროლის დაწესება და ამ მხრიდან რომის სამფლობელოთა უშიშროების უზრუნველყოფა, და, რაც მთავარია, თვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმპერიის გავლენის გაძლიერება, ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა და ანტირომაული განწყობილების ალაგმვა[25]. ასეთ ინციდენტებს კი რომ ჰქონდა ადგილი, ეს ჩვენ ვიცით შედარებით მოგვიანო ხანის ცნობების მეშვეობით. მაგ., VIII—IX სს. ავტორის გიორგი სიუნკელოზის მიხედვით, კოლხეთი (ე. ი. ლაზიკა) დაიმორჩილა სეპტიმიუს სევერუსმა[26]. ისიცაა აღსანიშნავი, რომ იმპერიის კონტროლს ლაზიკის შიდა რაიონები ნაკლებად ექვემდებარებოდა[27].

კოლხეთის ისტორიის ამ სქემატური ექსკურსიდან[28] რამდენიმე მომენტს აქვს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა: 1) ლაზიკის სამეფოს ოფიციალური ცნობის ხანა ემთხვევა იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს; 2) კოლხეთი პოლიტიკურად დაკავშირებული იყო კაპადოკიასთან.

თუ თვალს გადავავლებთ კოლხეთის მიწა-წყალზე აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალას, დავრწმუნდებით, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული კაპადოკიასთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეკის განძის მიკვლევამდე კოლხეთში 500-მდე კესარიული მონეტა იყო აღმოჩენილი[29]. ეს გარემოება უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში გაბატონებული ადგილი ეკავა კაპადოკიის მონეტებს.

მაგრამ საკუთრივ ლაზეთის ტერიტორიაზე, ეკის განძის პოვნამდე, ასეთი დიდი რაოდენობით (775 ც.) კესარიული მონეტები არასოდეს ყოფილა აღმოჩენილი. ახლა, თუ შევიხსენებთ იმასაც, რომ ეკის განძის 712 ეგზემპლარი ადრიანეს სახელით მოჭრილ დიდრაქმას წარმოადგენს და ამას დავუკავშირებთ არიანეს ცნობას იმის შესახებ, რომ ლაზთა მეფემ ხელისუფლება ადრიანესა-

---

[22] Arr., Periplus. § 11; ნ. კეკელიძე, ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961, გვ. 42—43.

[23] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. გვ. 546.

[24] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. 1959, გვ. 376—377.

[25] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[26] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 552.

[27] იქვე, გვ. 552—553.

[28] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ და სრული ბიბლიოგრაფია -ხ.: Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 363—375. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. გვ. 537—558; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 5—29.

[29] М. М. Иващенко. Герзеульский клад монет Кессарии Каппадокийской; გ. დუნდუა, ვ. წერეთელი. ეკის განძი, გვ. 43; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 59—60; К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. გვ. 24, 63—72, № 14—34.

განმიღო, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ეს ორი ფაქტი როგორღაც ერთმანეთთან კავშირში არ იყოს.

ქ. კესარიის (უფრო ადრე კაპადოკიის სამეფოს დედაქალაქი — მაზაკი) ზარაფხანა უდიდესი მასშტაბით ახორციელებდა სამონეტო ემისიას და აკმაყოფილებდა მთელი მცირე აზიის ბაზრის მოთხოვნილებას[30]. კესარიული პროდუქციის ასეთ პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ მისი ზოგადი ტიპოლოგია და წონა დაკავშირებული იყო იმპერიის ძირითად სამონეტო ერთეულთან — დენართან[31]. ამ საერთო ეკონომიკურ ფერხულში ჩაბმული იყო კოლხეთიც. იმპერატორ ანტონინე პიუსის (138--161) შემდგომ კესარიის ზარაფხანის მასშტაბები იკეცება და კოლხეთშიც ამ მონეტების შემოსვლა კლებულობს[32]. მაგრამ ეკის განძის შემადგენლობა ამტკიცებს, რომ ეს მონეტები არათუ გამქრალა სამონეტო მიმოქცევიდან, არამედ II ს. დასაწყისში მოჭრილ დიდრაქმებს (ადრიანეს) კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ექირათ ლაზეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ ა შ ი ც მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს ე კ ი ს გ ა ნ ძ ი ს ე რ თ-ე რ თ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა.

კესარიული მონეტები ჩვენში, როგორც ეს კარგად აქვს ნაჩვენები კ. გოლენკოს, საზღვაო გზითაა შემოსული. ამას ადასტურებს რამდენიმე დაკვირვება: ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს მონეტები თითქმის არ გვხვდება ამიერკავკასიის შიდა რაიონებში. ეს გამორიცხავს მათ შემოსვლას წყაროებით დადასტურებული საჭაჭრო გზით, რომელიც მიემართებოდა პონტოდან ევფრატის ზემოწელისაკენ, სომხეთის სიღრმეში, მდ. მტკვრისაკენ და შემდეგ — შორაპნის გავლით — კოლხეთში. ვერ უძლებს კრიტიკას აგრეთვე მოსაზრება კესარიული მონეტების კოლხეთში შაი ზღვისგასწვრივი სახმელეთო გზით შემოსვლის შესახებ, რომელსაც რომაულ ხანაში არ ჰქონია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა[33].

კ. გოლენკოს სწორად აქვს ლოკალიზებული დას. საქართველოს ტერიტორიაზე კესარიული მონეტების მიმოქცევის სფერო. ესაა აფხაზეთის სანაპირო ზოლი, მდ. რიონის ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის დაბლობის დასავლეთ რაიონები[34]. მაგრამ დღეისათვის რამდენადმე სათუოა მისი შემდეგი დასკვნა: «...серебро Кесарии Каппадокийской служило основным средством обращения в той части Колхиды, которая находилась в зависимости от римлян и контроль над которой осуществлялся через приморские крепости»[35]. ექვემდებარებოდა თუ არა ეკის მიდამოები ფასისის რომაელთა გარნიზონის რეალურ კონტროლს, ამის გარკვევას ცალკე კვლევა-ძიება სჭირდება.

როგორც ეკისა და, განსაკუთრებით, სეფიეთის განძის შემადგენლობა ამტკიცებს, კესარიული დიდრაქმების შემოსვლის შეწყვეტის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონების სამონეტო ცირკულაციაში II ს. დასასრული-

---

[30] E. A. Sydenham. The Coinage of Caesarea of Cappadocie, L. 1933, გვ. 10; А. Ранович. Восточные провинции Римской империи в I—III вв. М.-Л. 1949, გვ. 124; К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. გვ. 24.

[31] E. A. Sydenham. დასახ. ნაშრ., გვ. 7; К. В. Голенко. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[32] К. В. Голенко. დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[33] იქვე, გვ. 26, აქვეა ლიტერატურა სავაჭრო გზების შესახებ

[34] იქვე, გვ. 24.

[35] იქვე.

დან ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის დენარები. ეს მომენტი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა სეპტიმიუს სეევერუსის მმართველობის დასაწყისიდან. ეკის განძში ამ იმპერატორის სახელით მოჭრილი 101 დენარი შედის, სეფიეთის განძში — 202. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (235 ცალი) 194 წელსაა მოჭრილი. ისიცაა ხაზგასასმელი, რომ ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეული დენარების დიდი ნაწილი წარმოადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებისა და სირიის (ემესას) ზარაფხანების პროდუქციას. რომაული დენარების გავრცელების გვიანდელი ქრონოლოგიური ზღვარი ლაზიკის ტერიტორიაზე არის ალექსანდრე სეევერუსის იმპერატორობის დასაწყისი (222 წ.).

არ იწვევს არავითარ ეჭვს ის გარემოება, რომ რომაული დენარებიც იმავე გზითაა ჩვენში მოხვედრილი, რა გზითაც თავის დროზე შემოდიოდა კესარიული დიდრაქმები. მონეტების ძირითადი „მიმწოდებელი" შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის არის მცირე აზია, ხოლო უმთავრესი არტერია — საზღვაო გზა.

კონკრეტულად რომელი პუნქტი ამარაგებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მონეტებით, ეს კარგად აქვს ნაჩვენები კ. გოლენკოს თავის მონოგრაფიაში. ასეთი ქალაქი, მისი აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ტრაპეზუნტი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა რომის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში. კ. გოლენკოს მიხედვით, აქედან მონეტები შემოდიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში და შემდეგ ვრცელდებოდა კოლხეთის შიდა რაიონებში[36]. ძნელია არ დაეთანხმო კ. გოლენკოს ამ მოსაზრებას, ვინაიდან ტრაპეზუნტი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით (სიახლოვე ამიერკავკასიასთან და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან), მართლაც ასრულებდა უდიდეს როლს ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული ბანაკების მომარაგების საქმეში[37]. უფრო მეტიც: ზოგიერთი მკვლევარი ტრაპეზუნტს რომაელთა ფლოტის ძირითად ბაზადაც კი მიიჩნევს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე[38].

მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი. ძველი კოლხეთის შიდა რაიონების მოსახლეობა განურჩევლად არ იღებს ყველა მონეტას, რომელიც მიმოიქცეოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში. საილუსტრაციოდ შევუდაროთ ლაზიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სეფიეთისა და ეკის განძების შემადგენლობა სინქრონულ მასალას, რომელიც ბიჭვინტიდან მომდინარეობს (შესადარებლად ბიჭვინტაში მიკვლეულ ნუმიზმატიკურ მასალას იმიტომ ვიღებთ, რომ იგი ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე მრავალფეროვანი და მეცნიერულად ყველაზე უკეთაა შესწავლილი). „დიდი პიტიუნტის" ტერიტორიაზე III ს. I ნახევრის (ან ამ ხანებში სამონეტო ცირკულაციაში ჩართული) 247 მონეტაა აღმოჩენილი, მათი უმრავლესობა ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო პროდუქციას წარმოადგენს (191 ცალი)[39]. ეს მონეტები კი, ბიჭვინ-

---

[36] К. В. Голенко. დასახ. ნაშრ., გვ. 35—36.

[37] М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья. М. Л., 1956, გვ. 314.

[38] Th. Mommsen. Romische Geschichte. V. Berlin, 1856, გვ. 306.

[39] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში. ძვ. წ. II—ახ. წ. IV სს. ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. გვ. 260—429.

ტისა და სოხუმის გარდა, საერთოდ არ არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე.

აქედან დასკვნა: 1) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში მარილაც ტრაპეზუნტის მეშვეობით შემოდის მონეტები; 2) ლაზიკის ბაზარი არ ღებულობს სპილენძის მონეტებს. შესაბამისად, ფულადი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, ქვეყნის შიდა რაიონები შედარებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე სანაპირო ზოლის ქალაქები; 3) ზღვისპირა ქალაქებიდან ქვეყნის სიღრმეში მხოლოდ ვერცხლის მონეტები — დიდრაქმები და დენარები იკაფავენ გზას, რადგან მათ რეალური ღირებულება გააჩნიათ (ძვირფასი ლითონია).

ცხადია, ეკისა და სეფიეთის განძის მონეტები არქეოპოლისის მიდამოებში ბიზვინტიდან კი არაა შემოსული, არამედ ფასისიდან.

პროფ. ს. მაკალათიას მიაჩნია, რომ სეფიეთის განძის მონეტები შეადგენს რომაელთა გარნიზონის კუთვნილებას, რომელიც ნოქალაქევის მიდამოებში იდგა[40]. მაგრამ არქეოპოლისის მიდამოებში რომაული მხედრიონის დგომის არავითარი საბუთი არ არსებობს[41] და ს. მაკალათიას ჰიპოთეზა, ამის გამო, თავისთავად მოხსნილია.

ჩვენი აზრით, ორივე განძის მონეტები ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებას შეადგენს, რომელთა ხელში ეს სიმდიდრე, ფასისში მდგარ რომაელთა მხედრიონის სარდლობასთან ჩატარებული მსხვილი სავაჭრო ოპერაციების შედეგად მოხვდა.

დაბოლოს ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მეტად სიმპტომატურ ფაქტს. როგორც უკვე თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, ორივე განძი სინქრონულადაა ჩამარხული. ეს დამთხვევა არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და ამკარად მიგვანიშნებს, რომ განძთა დამარხვა ერთი საერთო მიზეზითაა გამოწვეული. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ამ მიდამოებს სამხედრო საშიშროება დამუქრებია, რის შესახებაც წერილობით წყაროებში არაფერია თქმული. ეს გარემოება ეკისა და სეფიეთის განძებს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ აქცევს.

---

[40] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 218.
[41] ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 61.

Истории взаимоотношений Западной Грузии с Римской империей по нумизматическим данным, вопросам обращения и топографии римских монет на территории древней Колхиды посвящено несколько статей[1] и одна специальная монография[2]. Несмотря на это, все аспекты взаимотношений этих двух регионов пока не освещены с достаточной полнотой. Более того, в некоторых случаях даже сама публикация нумизматического материала не отвечает современным научным требованиям.

Единственным правильным путем для восполнения этих пробелов мы считаем монографическое изучение как кладов римских монет, находимых в Западной Грузии, так и нумизматического материала, добываемого во время планомерных археологических раскопок, проводившихся на территории городищ, их научную публикацию по комплексам (полная каталогизация с учетом новейшей специальной литературы, датировка каждой отдельной монеты узкими хронологическими рамками, определение — локализация монетных дворов, идентификация как отдельных божеств, так и целых мифологических сюжетов, изображенных на монетах и т. д.).

Предметом наших исследований на сей раз являются два крупных клада римских монет из селений Эки и Сепиети (Западная Грузия). Наш выбор обусловлен следующим: а) огромный клад из с. Эки фактически не опубликован (существуют лишь предварительные данные о нем)[3], и включение его в научный обиход — дело первостепен-

---

[1] См. М. М. Иващенко. Герзеульский клад монет Кессарии Каппадокийской. ИГАИМК, вып. 10. Т. VII, Л., 1931; А. Н. Зограф. Несколько добавочных замечаний поповоду Герзеульского клада. Там же; Его же, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ, I, 1945; С. Макалатия. Сепиетский клад римских монет. Вестник Гос. музея Грузии. XII-В., 1944 (на груз. яз.); Д. Г. Капанадзе. Нумизматические находки Пицундской археологической экспедиции за 1953—1959 гг. ВДИ, 1966, № 4; Г. Ф. Дундуа. Питиунт-Бичвинта по нумизматическим материалам. Научная сессия инст. истории им. И. А. Джавахишвили, посвященная итогам полевых археологических исследований 1962 г. Тб., 1963, с. 62—68; Его же. Монетное обращение и торгово-экономические взаимоотношения в Бичвинта II в. до н. э. —IV в. н. э. по нумизматическим данным. В сб. «Великий Питиунт». I. Тб., 1975, с. 280—429 и др.

[2] К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. Л. 1964.

[3] Г. Ф. Дундуа. Скрытая под землей история. Газ. «Комунисти», № 39, 16: II. 1971; Г. Ф. Дундуа, В. В. Циргвава. Клад из с. Эки. — «Дзеглис Мегобари», № 27—28, 1971, с. 42—45; 108 (на груз. яз. с русским резюме); Г. Ф. Дундуа. Беско-

ной важности; б) Сепиетский клад, правда, опубликован[4], но назрела необходимость его републикации с учетом новейшей литературы (это, разумеется, ничуть не умаляет большой заслуги проф. С. Макалатия перед грузинской наукой): в) названные клады найдены в одном микрорайоне (в секторе непосредственной радиации Нокалакеви — Археополиса, столицы древней Лазики. На территории Эки находится крепость, которая, наряду с другими крепостями, несомненно, сторожила подступы к Археополису[5]. Сепиетская же базилика расположена всего в 6 км к юго-востоку от Археополиса[6]) и достоверно отражают картину денежного обращения в этом регионе. Постольку их изолированное изучение не может быть оправдано; г) оба клада найдены во внутренних районах Колхиды, а не в пределах прибрежных городов, поэтому они дают возможность восстановить картину монетной циркуляции на территории всей древней Колхиды в I—III вв., уловить различие в экономической жизни между внутренними районами страны и прибрежными городами Восточного Причерноморья.

Экский клад. Найден случайно в январе 1971 г. на приусадебном участке жителя с. Эки (Цхакаевский р-н, Груз. ССР) Т. И. Нинуа, который с помощью бульдозера производил земляные работы. Внезапно его внимание привлек разбитый глиняный горшочек, в котором оказался плотно спресованный комочек мелких пластинок, покрытых окисью[7].

Об этом было сообщено В. В. Циргвава — научному сотруднику Мемориального музея им. Цхакая. Благодаря его нестойчивости и энергии, там же поблизости была обнаружена и вторая часть разбитого сосуда, также содержащая металлические пластинки[8].

После химической обработки находка оказалась кладом римских серебряных монет I—III вв. общим числом 907 экз. Необходимо подчеркнуть, что никогда еще на территории Грузии не был найден такой крупный клад иноземных монет античной эпохи.

рыстный деятель. Там же, с. 87—88, 113—114 (на груз. яз. с русским резюме); Его же. Клад из с. Эки, XV Наукова конференція інститута археології, присвячена 50-річчю утверення Союзу Радянских Соціалістичных Республик. Тезы пленарних і секційних доповідей. Одеса, 1972, с. 272—273; Его же. Обращение римских монет на территории древней Колхиды (клады из сел Эки и Сепиети). Всесоюзная научная конференция, Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Черноморья. Тезисы докладов. Тб., 1975, с. 42—44. Его же. Клад римских монет I—III вв. из с. Эки. КСИА, № 151, 1977, с. 64—67.

[4] С. Макалатия. Ук. соч.

[5] В. А. Леквинадзе. Монументальные памятники Западной Грузии I—VII вв. (автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук). М., 1973, с. 34.

[6] В. А. Леквинадзе. Гантиадская базилика, СА, 1970, № 3, с. 168, сноска 10.

[7] См. Г. Ф. Дундуа. Скрытая под землей история.

[8] См. Г. Ф. Дундуа. Бескорыстный деятель. с. 87—88.

Таблица I

СПИСОК
монет экского клада

№№ пп.	Император	Номинал			Монетные дворы							Всего
		Денарий	Драхма	Дидрахма	Рим	Кесария	Восточ монет. двор	Александрия?	Рим или Антиохия	Кесарийск. подраж.	Парфия	
1	Т. Н. Ород I (57—38/37 гг. до н. э.)	—	1	—	—	—	—	—	—	—	1	1
2	Нерва (96—98 гг.)	—	—	1	—	1	—	—	—	—	—	1
3	Траян (98—117 гг.)	—	—	2	—	2	—	—	—	—	—	2
4	Адриан (117—138 гг.)	—	—	712	—	712	—	—	—	—	—	712
5	Антонин Пий (138—161 гг.)	—	—	55	—	55	—	—	—	—	—	55
6	Луций Вер (161—169 гг.)	—	—	1	—	1	—	—	—	—	—	1
7	Коммод (180—192 гг.)	1	—	—	1	—	—	—	—	—	—	1
8	Пертинакс (193 г.)	5	—	—	5	—	—	—	—	—	—	5
9	Нигер (193—197 гг.)	1	—	—	1	—	—	—	—	—	—	1
10	Септимий Север (193—211 гг.)	101	—	—	12	—	84	5	—	—	—	101
11	Юлия Домна (193—217 гг.)	14	1	—	5	1	9	—	—	—	—	15
12	Каракалла (211—217 гг.)	2	1	—	2	1		—	—	—	—	3
13	Гета (211—212 гг.)	1	1	—	—	1	—	—	1	—	—	2
14	Элагабал (218—222 гг.)	—	1	—	—	—	—	—	—	1	—	1
15	Александр Север (222—235 гг.)	6	—	—	1	—	5	—	—	—	—	6
		131	5	771	27	774	98	5	1	1	1	907

После тщательного изучения клада его состав выглядит так[9] (см. табл. I).

Из 907 монет клада 771 — кесарийские дидрахмы, отсюда 712— чеканены от имени Адриана (117—138 гг.), 55 — Антонина Пия (138—161 гг.). 131 монета клада — денарии. Небезынтересно, что основная их часть (101 экз.) чеканена при Септимии Севере (193—211 гг.) на Восточном монетном дворе Римской империи (84), притом большинство (82) в 194 г.

Самая поздняя монета клада чеканена от имени Александра Севера (222—235 гг.) в 222 г. Таким образом, клад зарыт в 222 г. или позднее.

Сепиетский клад. Найден случайно в феврале 1931 г. в с. Сепиети (Абашский район, Груз. ССР), местным жителем А. В. Гваджиа при обработке земли в собственном дворе. Клад был помещен в глиняном горшочке[10]. 377 монет клада хранятся в Гос. музее Грузии им. акад. С. Н. Джанашиа. Их уточненный список после тщательного изучения выглядит так (см. табл. II)[11].

Абсолютное большинство монет клада — римские денарий — 365. Из них 158 чеканены в Эмессе (Сирия), 118 — в Риме, 62 — на Восточном монетном дворе. Совершенно незначительна продукция Кесарии Каппадокийской — 11, среди них нет ни одной дидрахмы.

Основное ядро клада — монеты Септимия Севера (227), большая часть которых (153) чеканена в Эмессе в 194 г. Поздняя монета клада чеканена от имени Александра Севера, но его датировка сопряжена с определенными трудностями. Дело в том, что из 31 монеты этого императора 29 чеканены в 222 г., дата одной не ясна и одна как будто чеканена в 225 г. (см. каталог № 376). В каталоге римских монет Британского музея денарии этого типа датированы 225 г.[12], но в отличие от них на экземпляре Сепиетского клада император изображен безбородым. Отсюда можно сделать вывод, что эта монета явно чеканена раньше 225 г., может быть даже в 222 г. (подобно поздней монете Экского клада). Таким образом, и сепиетский клад должен быть захоронен после 222 г.[13].

Чем интересны экский и сепиетский клады и какими путями проникали они на территорию Западной Грузии? Без краткого экскурса в историю Колхиды трудно ответить на этот вопрос.

Колхидское царство в конце II или в начале I в. до н. э. входило в состав Понтийской державы Митридата VI. В дальнейшем Западная

---

[9] Ср. Г. Дундуа, В. Циргвава. Клад из с. Эки, с. 42—43.

[10] Подробно об обстоятельствах находки этого клада см. С. Макалатия. Ук. соч., с. 217.

[11] Ср. С. Макалатия. Ук. соч., с. 219—220.

[12] M. A. Carson. Coins of the Roman Empire in the British Museum. Vol. VI. L., 1962, с. 136, № 222—226.

[13] Ср. Г. Дундуа, В. Циргвава. Клад из с. Эки, с. 44. Здесь с большей категоричностью говорится о дате чекана поздней монеты Сепиетского клада.

Таблица II

СПИСОК
монет сепиетского клада

№№ пп.	Император	Номинал		Монетные дворы											
		Денарий	Драхма	Рим	Рим?	Кесария	Восточ. монетн. двор	Восточн. монетн. двор?	Лугдунум	Александрия?	Эмесса	'Laodicea Ad Mare'	Кесарийск. подражания	Неопред.	Всего:
1	Траян (98—117 гг.)	2	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2
2	Адриан? (117—138 гг.)	—	1	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	1
3	Антонин Пий (138—161 гг.)	3	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	3
4	Марк аврелий (161—180 гг.)	6	—	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6
5	Коммод (180—192 гг.)	33	—	33	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	33
6	Криспина (180 г.)	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
7	Пертинакс (193 г.)	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
8	Нигер (193—197 гг.)	1	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	1
9	Клод Альбин (193—197 гг.)	7	—	5	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	7
10	Септимий Север (193—211 гг.)	222	5	30	1	5	15	3	—	2	158	1	—	12	227
11	Юлия Домна (193—217 гг.)	25	2	12	—	2	11	—	—	—	—	—	—	2	27
12	Гета (211—212 гг.)	8	1	3	—	1	5	—	—	—	—	—	—	—	9
13	Каракалла (211—217 гг.)	15	3	10	—	2	3	—	—	—	—	—	1	2	18
14	Элагабал (218—222 гг.)	10	—	7	1	—	2	—	—	—	—	—	—	—	10
15	Александр Север (222—235 гг.)	31	—	5	—	—	25	1	—	—	—	—	—	—	31
	Всего	365	12	118	2	11	62	4	2	2	158	1	1	16	377

Грузия попадает под влияние Рима и подчиняется то его провинциальному управлению, то входит в состав вассальных государств Римской империи[14]. Так, например, в эпоху Аристарха (65—45 гг. до н. э.) Колхида являлась отдельной административной единицей империи. В дальнейшем она попала в подчинение понтийских царей[15]. В эту эпоху важнейшим центром Понтийского царства становится Трапезунт. После упразднения Нероном Понтийского царства Трапезунт превращается в оплотный пункт Рима в этом районе причерноморья[16].

63 г. Нерон лишил Понт (и Колхиду как его составную часть[17]) самостоятельности и присоединил его к провинции Галатия[18]. С 72 г. и, очевидно, до правления Домициана Понт входил в так называемый «Каппадокийский комплекс», объединивший расширенные провинции Каппадокию и Галатию. Позже та часть Понта, к которой принадлежала Колхида, отошла к вновь отделенной Каппадокии[19].

На территории древней Колхиды ко II в. н. э. образовалось несколько политических единиц и среди них Лазское (Эгрисское) царство[20]. Генезис политических объединений Колхиды, предполагается и в более раннее время[21].

Согласно сведениям Флавия Арриана, царей лазов, абасгов и санигов властью наделил Адриан, царя же апсилов Юлиана — Траян[22].

По мнению акад. Г. А. Меликишвили, здесь мы имеем дело с официальным признанием Римом вновь образовавшихся политических единиц[23].

И наконец, необходимо отметить, что в прибрежных пунктах Колхиды (Апсарос—Гонио, Фазис — Поти, Себастополис — Сухуми) стояли римские гарнизоны, которым вменялось в обязанность защита вассальной территории от усилившейся Иберии[24], а также в какой-то мере установление контроля над Северным Причерноморьем и тем самым защита римских владений с этого направления и, главное, — уси-

---

[14] Н. Ю. Ломоури. История Эгрисского царства. Тб., 1968, с. 3—4 (на груз. яз. с русским и англ. резюме).

[15] «Очерки истории Грузии», Т. I. Тб., 1970, с. 537 (на груз. языке, автором этого раздела является акад. Г. А. Меликишвили).

[16] «Очерки истории Грузии». Т. I, с. 537—538.

[17] Там же, с. 358; См. также А. И. Амиранашвили. Иберия и римская экспансия в Азии, ВДИ, 1938, № 2, с. 171; Ее же. Восстание Аникета. ВДИ, 1939, № 2, с. 65.

[18] «Очерки истории Грузии», I, с. 598; О. В. Кудрявцев. Провинция Каппадокии в системе римской восточной политики (17—72 гг.). ВДИ, 1955, № 2, с. 70; К. В. Голенко. Ук. соч., с. 23.

[19] «Очерки истории Грузии», I, с. 358; О. В. Кудрявцев. Ук. соч., с. 48; К. В. Голенко. Ук. соч., с. 23.

[20] Н. Ю. Ломоури. Ук. соч., с. 4.

[21] «Очерки Истории Грузии», I, с. 543.

[22] Arr., Periplus. § 11.

[23] «Очерки истории Грузии», I, с. 546.

[24] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, 1959, с. 376—377.

ление влияния Рима на Западную Грузию, подавление антиримских стремлений местного населения[25]. Что подобные инциденты имели место, об этом мы узнаем из сравнительно поздних сведений. Например, согласно Георгию Сиункелозу — автору VIII—IX вв. — Колхиду (т. е. Лазику) завоевал (подчинил) Септимий Север[26]. Хотя необходимо отметить, что внутренние районы Лазики подчинялись имперскому контролю формально[27].

Из этого схематического экскурса[28], для нас особо важны два момента: 1) официальное признание Лазского царства совпадает со временем правления императора Адриана; 2) Колхида политически была связана с Каппадокией.

Просматривая нумизматический материал, найденный на территории древней Колхиды, становится ясным, что она тесно связана с Каппадокией не только политически, но и экономически. Достаточно отметить, что в Западной Грузии до обнаружения экского клада было зарегистрировано более 500 кесарийских монет, датируемых I и в особенности II в. н. э.[29].

Но надо отметить, что на территории собственно Лазского царства до находки экского клада не было фиксировано такое большое количество (775) кесарийских монет. В связи с этим небезынтересно вспомнить, что из них 712 экз. — дидрахмы Адриана. Как уже отмечалось выше, согласно сведениям Арриана, царь лазов получил власть от Адриана. По нашему мнению, эти два факта должны быть каким-то образом взаимосвязаны.

Кесария (Мазак — ранее главный город Каппадокийского царства) осуществлял монетную эмиссию в больших масштабах и удовлетворял потребности всего Малоазийского рынка[30]. Популярность кесарийской монетной продукции обуславливалась близостью ее общей типологии и веса с основной монетной единицей империи — денарием[31]. В эту общую экономическую орбиту была включена и Колхида. После Антонина Пия и Кесарии Каппадокийской резко сокращается выпуск серебряной монеты, и эта позднейшая кесарийская монета в Западной

---

[25] Н. Ю. Ломоури. Ук. соч., с. 37.

[26] «Очерки истории Грузии», I, с. 552.

[27] Там же, с. 552—553.

[28] Подробно по этому вопросу и полную библиографию см. Г. А. Меликишвили, «К истории древней Грузии», с. 363—375. «Очерки истории Грузии», I, с. 537—558; Н. Ю. Ломоури, История Эгрисского царства, с. 5—29.

[29] М. М. Иващенко. Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской; Г. Дундуа, В. Циргвава. Клад из с. Эки, с. 43; Н. Ю. Ломоури. История Эгрисского царства, с. 59—60; К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время, с. 24, 63—72, № 14—34.

[30] E. A. Sydenham. The Coinage of Caesarea in Cappadocia, L., 1933, с. 10; А. Ранович. Восточные провинции Римской империи в I—III вв., М.-Л., 1949, с. 124; К. В. Голенко. Ук. соч. с. 24.

[31] E. A. Sydenham. Ук. соч. с. 7; К. В. Голенко. Ук. соч. с. 23—24.

Грузии встречается уже редко[32]. Но несмотря на это, состав экского клада показал, что даже в 20-е годы III в., в экономической жизни Эгрисского царства ведущее место занимают кесарийские дидрахмы начала II в.(Адриана). В этом и заключается, наряду с другими аспектами, большая научная ценность экского клада.

По справедливому замечанию К. В. Голенко, кесарийские монеты к нам проникали морским путем, что подтверждается несколькими наблюдениями: прежде всего, полное отсутствие этого вида серебра в находках во внутренних областях Закавказья делает маловероятным завоз его в Колхиду посредством засвидетельствованного источниками магистрального торгового пути, идущего из Понта к верховьям Евфрата, в глубь Армении, к р. Куре и далее через Шоропани в Колхиду. Не выдерживает критики также предположение и о доставке кесарийской монеты в Колхиду сухопутным путем вдоль морского побережья. Этот путь в римское время не имел большого практического значения[33].

К. В. Голенко правильно локализовал сферу обращения кесарийской монеты в Колхиде: эта прибрежная полоса Абхазии, западные районы Колхидской низменности, расположенные северней р. Риони[34]. Но на сегодня несколько спорным выглядит его следующее заключение: «Серебро Кесарии Каппадокийской служило основным средством обращения в той части Колхиды, которая находилась в зависимости от римлян и контроль над которой осуществлялся через приморские крепости»[35]. Подчинялись ли реальному контролю Фазийского римского гарнизона окрестности Эки, — требует особого исследования.

Как подтверждает состав экского и в особенности сепиетского кладов, после прекращения притока кесарийской дидрахмы в монетной циркуляции внутренних районов Западной Грузии с конца II в. включаются денарии общеимперского типа. Это особенно отчетливо прослеживается с начала правления Септимия Севера. В экском кладе имеется 101 денарий этого императора, а в сепиетском — 202. Абсолютное большинство их (235 экз.) датировано 194 г. Необходимо отметить и тот факт, что большая часть денариев, найденных на территории Эгрисского царства, является продукцией восточноримских и сирийских (Эмесса) монетных дворов. Поздней хронологической границей распространения римских денариев на территории Лазики является начало правления Александра Севера (222 г.).

Бесспорно, что и римские денарии, подобно кесарийским дидрахмам поступали к нам морским путем. Основным «поставщиком» монет на восточное побережье Черного моря являлось Малая Азия, а главной артерией — морской путь.

---

[32] К. В. Голенко. Ук. соч. с. 28.
[33] К. В. Голенко. Ук. соч., с. 26; Там же, Литература о торговых путях.
[34] К. В. Голенко. Ук. соч., с. 24.
[35] Там же, с. 24.

Конкретно какой пункт снабжал монетой Восточное Причерноморье, об этом совершенно справедливо мнение К. В. Голенко, который считает, что таковым мог быть лишь Трапезунт, игравший важную роль в восточной политике Римской империи. Отсюда монеты поступали в прибрежные города и далее распространялись во внутренние районы Колхиды[36]. Трудно не согласиться с этим предположением К. Голенко, т. к. Трапезунт по своему географическому положению играл важную роль в снабжении римских гарнизонов закавказских городов[37]. Более того, некоторые исследователи Трапезунт считают основной базой римского флота на юго-восточном побережье Черного моря[38].

Но здесь есть один нюанс. Население внутренних районов древней Колхиды не принимает без разбора всякую монету, обращавшуюся на восточном побережье Черного моря. Для иллюстрации высказанного выше предположения сравним состав найденных в Лазике сепиетского и экского кладов с синхронным материалом из Бичвинта (для сравнения нами выбран этот материал потому, что он самый многочисленный, разнообразный и, с научной точки зрения, хорошо изучен). На территории «Великого Питиунта» найдено 247 монет I-й половины III в. или циркулирующих в это время, большая часть которых — медная городская монета Трапезунта (191 экз.)[39]. Эти монеты же, кроме Бичвинта и Сухуми, в Западной Грузии вообще не найдены.

Отсюда вывод: 1. В города Восточного Причерноморья монеты поступали из Трапезунта. 2. Рынок Лазики не принимает медную монету. Соответственно этому можно заключить, что с точки зрения развития денежных взаимоотношений внутренние районы страны стояли на более низкой ступени развития, чем города прибрежной полосы. 3. Из приморских городов в глубь страны проникают лишь дидрахмы и денарии, имеющие реальную стоимость (ведь это драгоценный металл).

Ясно, что монеты экского и сепиетского кладов в окрестности Археополиса попали не из Бичвинта, а из Фасиса.

С. Макалатия считает, что монеты сепиетского клада являются собственностью римского гарнизона, квартировавшего в окрестностях Нокалакеви[40].

Но так как мы не имеем никаких свидетельств о присутствии римских легионеров в окрестностях Археополиса[41], гипотеза С. Макала-

---

[36] К. В. Голенко. Ук. соч. с. 35—36.

[37] М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956, с. 314.

[38] Th. Mommsen. Romische Geschichte. V. Berlin, 1856. с. 306.

[39] Г. Ф. Дундуа, Монетное обращение и торгово-экономические взаимоотношения в Бичвинта II в. до н. э. — IV в. н. э. по нумизматическим данным, с. 352, 354—355, 415—416.

[40] С. Макалатия. Ук. соч., с. 28.

[41] Н. Ю. Ломоури. Ук. соч., с. 61.

тия сама собой отпадает. На наш взгляд, монеты обоих кладов составляют собственность местного населения, получившего их в результате крупных торговых сделок с командованием римского гарнизона, стоящего в Фасисе.

И наконец, необходимо обратить внимание на один очень симптоматичный факт. Как нами уже отмечалось, оба клада захоронены синхронно. Это позволяет предположить, что в 20-х годах III в. этим краям угрожала военная опасность, о которой письменные источники умалчивают. Это обстоятельство превращает названные клады в первостепенные исторические источники.

კაფალოგი

ეკის ბანძი

№№	ტაბ.	წონა	ზომა	შუბლი	ზურგი
1	1	2.73	18/19	პ ა რ თ ი ა: ე. წ. ო რ ო დ I (ძვ. წ. 57—38/37 წ.წ.) დ რ ა ქ მ ა[1]	
				მეფის ბიუსტი დიადემაში მარცხნივ. მას გრძელი თმები და მოკლე წვერ-ულვაში აქვს.	სამეფო ტახტზე მჯდომი არშაკი· მარჯვნივ. მარჯვენა ხელში მას მშვილდი უჭირავს. გარშემო: ΒΑΣΙΛΕ-ΩΣ | ΒΑΣΙΛΕΩΝ | ΑΡΣΑΚ-ΟΥ | ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙ-ΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕ-ΛΛΗΝΟΣ. არშაკის ფეხთან მარჯვნივ—K[2].
2	„	5,94	20/21	კ ა პ ა დ ო კ ი ი ს კ ე ს ა რ ი ა. ნ ე რ ვ ა (96—98 წწ.). დ ი დ რ ა ქ მ ა.	
				დაფინისგვირგვინიანი ნერვას თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო: ΑΥΤΟ-ΚΡΑΤ ΝΕΡΟΥΑC ΚΑΙCΑΡ CΕΒΑCΤOC. რკალი წერტილოვანი	ჰერაკლეს ლახტი. გარშემო: Υ ΠΑΤΟΥ ΤΕΤΑΡΤ [ΟΥ][3]

[1] ტრადიციით ამ დრაქმებს დღესაც ოროდ I მონეტებად თვლიან (იხ. მაგ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974, გვ. 43, 14). სინამდვილეში კი ოროდი ჯერ კიდევ ძვ. წ. 80 წ. დათარიღებულ ერთ-ერთ თიხის ტაბულაზეა მოხსენიებული (M. M. M a c c o n. Некоторые моменты политической жизни парфянского государсвта в связи с историей областей Южного Туркменистана, Труды Южно-Туркменистанской археологической комплексной экспедиции, V, Ашхабад, 1955, გვ. 13, სქ. 4). ამდენად, უფრო მიზანშეწონილია მათ ოროდ II დრაქმები ვუწოდოთ.

[2] W. W r o t h. Catalogue of the Coins of Parthia. London, 1903, გვ. 75, № 49, თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 45, № 148, გვ. 102, № 51.

[3] E d w a r d A. S y d e n h a m. The Coinage of Caesarea in Cappadocia, L., 1933, გვ. 58, №№ 153—154.

№№	ტაბ.	წონა	ზომა	შუბლი	ზურგი
3	1	5,86	19/21	კესარია, ტრაინე (98—117 წწ.). დიდრაქმა. მოჭრილია 98—99 წწ.	
				ტრაიანეს თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. გარშემო: ΑΥΤ. ΚΑΙ. ΝΕΡΟΥΑϹ ΤΡΑΙΑΝΟϹ ϹΕΒΑϹ.ΓΕΡΜ	არგეის მთა, რომლის მწვერვალზე დგას შიშველი ფიგურა. მარჯვენა ხელში მას სფერო უჭირავს, მარცხენაში სკიპტრა. გარშემო: [ΥΠΑΤ. ΔΕΥΤ][4].
4	„	5,86	19/21	მისივე. მოჭრილი 112—117 წწ.	
				ტრაიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. გარშემო: ΑΥΤΟ-ΚΡ. ΚΑΙϹ. ΝΕΡ. ΤΡΑΙΑ-ΝΟϹ ϹΕΒ· ΓΕΡΜ [ΔΑΚ].	მარცხნივ მიმართული შიშველი აპოლონი, მარჯვენა ხელში დაფნის ტოტითა და მარცხენაში — მშვილდისრით. გარშემო: [ΔΗΜΑΡ] Χ ΕΞ.ΥΠΑΤΟ[S][5].
5	„	6,40	19/21	კესარია. ადრიანე (117—138 წწ.). დიდრაქმა.	
				დაფნისგვირგვინიანი ადრიანეს თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო: ΑΔΡΙ-ΑΝΟϹ ϹΕΒΑϹΤΟϹ.	არგეის მთა მწვერვალზე ფიგურით, რომელსაც მარჯვენა ხელში სფერო უჭირავს, მარცხენაში — სკიპტრა. გამოსახულების მარცხნივ ვარსკვლავი, მარჯვნივ — ნახევარმთვარე. გარშემო: ΥΠΑ-ΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
					რკალი წერტილოვანი[6].
6		6,20	21	ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒΑϹΤΟϹ.	ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
				ირგვლივ წერტილოვანი რკალი.	
7		5,92	20	... ϹΕΒΑϹΤΟϹ	ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ Π...
8		5,34	21	ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒΑϹΤΟϹ.	ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ[Τ]

[4] E. Sydenham. დასახ. ნაშრომი, გვ. 59, № 157.
[5] იქვე, გვ. 65—66, №№ 191—192.
[6] იქვე, გვ. 77, № 265.

№№	ტაბ.	წონა	ზომა	შუბლი	ზურგი
9		5,6	19/20	...PIANOC CЄBACTOC.	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
10		6,5	21	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACTOC.	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
11		5,55	20/21	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACTOC.	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ...
12		6,25	22/23	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBAC...	(გარკვევით არ ხერხდება ვარსკვლავისა და ნახევარ-მთავარის გარჩევა) ΥΠΑ-ΤΟC... [Π]ΑΤΗΡ ΠΑΤ.
13		6,55	20	...NOC CЄBACTOC.	რკალი წერტილოვანი. როგორც № 5. ΥΠΑΤΟCΓ ... შემორჩენილია წერტილოვა-ნი რკალის ფრაგმენტი.
14	1	5,75	21/22	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACTOC შემორჩენილია წერტილოვა-ნი რკალის ფრაგმენტი.	Υ ΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
15		5,59	20/21	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACTOC.	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ
16		5,62	20/21	ΑΥΓ. ΚΑΙCΑΡ ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACTO.	ΥΠΑΤΟC Γ... შემორჩენი-ლია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი[7].
17		5,28	19/21	ΑΔΡΙΑΝΟ... CЄBACTOC.	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ
18		5,34	20/21	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACT...	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ Π...
19		5,61	23	ΑΔΡΙΑΝΟC CЄBACT...	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
20	„	6,4	20/21	...PIANOC CЄBAC...	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ...
21		6,5	20	...PIANOC CЄBACT...	ΥΠΑΤΟC Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ

[7] E. Sydenham. დასახ. ნაშრ., გვ. 77, № 265a.

№№	ტაბ.	წონა	ზომა	შუბლი	ზურგი
22		6,28	19/21	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒΑϹ... შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.	„ „ (ვარსკვლავისა და ნახევარმთვარის გამოსახულება გადასულია?). ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ...
23		6,17	19/20	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ...	როგორც № 5. ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
24		6,07	19/21	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒΑϹΤΟϹ.	„ „ ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ...
25		5,95	19/22	„ „ ...ϹΕΒΑϹΤΟϹ.	„ „ ...ΠΑΤΗΡ ΠΑΤ. რკალი წერტილოვანი.
26		6,1	20	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒ...	„ „ ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
27		5,48	19	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ...	„ „ ΥΠΑΤ... ΠΑΤ.
28[8]		6,0	19/22	„ „ ...ΝΟϹ ϹΕ...	„ „ ..ΑΤΟϹ Γ. ΠΑΤΗΡ... რკალი წერტილოვანი.
29		5,81	19	„ „ ...ϹΕΒΑ...	„ „ (ვარსკვლავი და ნახევარმთვარე წაშლილია?). ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
30		5,43	19	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒ...	„ „ ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
31		6,09	20/21	„ „ ...ΑΝΟϹ ϹΕΒΑ...	„ „ ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑ...
32		5,92	20/21	„ „ ΑΔΡΙΑΝΟϹ ϹΕΒΑ... ΟϹ	„ „ ΥΠΑΤΟϹ Γ ΠΑΤΗΡ ΠΑΤ.
